959

პროლეტარიგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (89) თებერვალი 1959 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.
2. ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ-ში.
3. საქართველოს სსრ კოდექსების პროექტების მომზადების შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ კაჭეთის რაიონის სახალხო სასამართლოს გაუქმების შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის შესახებ „საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის წესის, ვადების და ფორმებისა და საგზაო სამეშოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ.
7. ბრძანებულება მედლით „წყალწყლიდულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.
8. ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის ასასრულებლად.
9. ამხ. ა. ვ. აბაშიძისა და ვ. ვ. მუშკუდიანის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სანაბრძოლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

7832

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები დროულად შეუდგნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. არჩევნების დებულებებით დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები, საარჩევნო უბნები და საარჩევნო კომისიები. შედგენილია ამომრჩეველთა სიები და ყველა წინასაარჩევნო ღონისძიება დროულად ტარდება. საარჩევნო ოლქები, უბნები და საარჩევნო კომისიები მომარაგებული არიან არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, ინვენტარით და საარჩევნო ლიტერატურით. არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით მოსახლეობაში გაშლილია აგიტ-მასობრივი მუშაობა. არჩევნების დებულებების შესწავლასთან ერთად მოსახლეობა ფართოდ ეცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალებს. არჩევნებთან დაკავშირებით რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არჩევნებისათვის მზადების საქმეში ზოგიერთ რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომს გააჩნია ნაკლოვანებანი. შემოწმებით გამოირკვა, რომ თელავის, გურჯაანის, მცხეთის, თიანეთის, ბორჯომის, აბაშის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონებში ზოგიერთი საარჩევნო ოლქი და საარჩევნო უბანი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი და გაფორმებული. ზოგან დაწესებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მორიგეობა, შედგენილი არა აქვთ სამუშაო გეგმა. საარჩევნო უბნებთან არსებულ აგიტპუნქტებში საკმარისი რაოდენობით არ მოიპოვება საქართველოს სსრ კონსტიტუცია, არჩევნების დებულებები და სხვა საარჩევნო ლიტერატურა.

ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ გამოაკრა ამომრჩეველთა არაზუსტი სიები. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ შედგენილ სიაში გამოტოვებული იყო ზოგიერთი ამომრჩელის მამის სახელი, დაბადების წელი, აგრეთვე ამომრჩეველთა სიაში არ ჰყავდათ შეტანილი 1941 წელში დაბადებული ზოგიერთი მოქალაქე და სხვ.

თიანეთის და მცხეთის რაიონული საბჭოების აღმასკომებს საარჩევნო დოკუმენტების სწორად შევსებისათვის და არჩევნების სამზადისი სამუშაოს ვადაზე შესრულებისათვის არ ჩაუტარებიათ სასოფლო საბჭოების აღმასკომების და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირი.

თელავის რაისაბჭოს აღმასკომმა არ შეასრულა არჩევნების დებულების 58 მუხლის მოთხოვნა და საარჩევნო უბნებს არ მისცა რიგითი ნომრები.

გეგეჭკორის, აბაშის, ბორჯომის და ზოგიერთი სხვა რაიონის რიგი აგიტპუნქტები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული რაიონების ზოგიერთი საარჩევნო უბანი არ არის უზრუნველყოფილი გათბობით და სატელეფონო კავშირით.

არანორმალურად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ გურჯაანის რაიონის 13 საუბნო საარჩევნო კომისიას და 4 სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისიას 23 თებერვლისათვის რაიაღმასკომისაგან არ ქონდათ მიღებული თანხები არჩევნების საჭიროებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მაქსიმალურად გამოიყენონ არჩევნებამდე დარჩენილი დრო და გააძლიერონ მუშაობა საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში, რისთვისაც:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების გატარება დებულებებით დაწესებულ ვადებში;

ბ) სათანადოდ მოაწყონ და გააფორმონ საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, უზრუნველყონ ისინი საქართველოს სსრ კონსტიტუციით, არჩევნების დებულებებით და ლიტერატურით და სათანადო ინსტრუქტაჟი გაუწიონ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს ხმის მიცემის ოქმების და სხვა დოკუმენტების სწორად შევსების უზრუნველსაყოფად;

დ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ და დროულად განიხილონ არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით მიღებული მშრომელთა განცხადებები და მისცენ მათ ამომწურავი პასუხი;

ე) მიიღონ ზომები, რათა საარჩევნო კომისიებმა და საბჭოების აღმასკომებმა დროულად დაამზადონ საარჩევნო ბიულეტენები და ჩაბარონ საარჩევნო უბნებს დაწესებულ ვადებში. უზრუნველყონ კომისიების წევრთა შორის ფუნქციების განაწილება და მათი ყოველდღიური მორიგეობა;

ვ) სერიოზული ყურადღებით მოეკიდონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების საქმეს, არ დაუშვან ხმის უფლების მქონე არც ერთი მოქალაქის გამოტოვება, დაზუსტონ ის ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომლებსაც არჩევნების დღემდე უსრულდებათ 18 წელი და შეიტანონ ამომრჩეველთა სიებში;

ზ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო ოლქი და საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი იყოს გათბობა-განათებით, სატელეფონო კავშირით და აუცილებელი მოწყობილობით.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნების დღეს შესაძლებელია ამინდის გაუარესების გამო შეფერხდეს კავშირი ზოგიერთ საარჩევნო უბანთან და გაძნელდეს მიმოსვლა, დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ყველა საარჩევნო უბანთან სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის გარდა, უზრუნველყონ სხვა სახის კავშირის დამყარება (ცხენოსნების, მეთხილამურეებისა და სხვათა მეშვეობით). გამოყონ საჭირო რაოდენობით მუშახელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტი გზების გასაწმენდად და ხელი შეუწყონ ამომრჩეველთა განცხადებ-
ხადებას საარჩევნო უბნებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი
1959 წ. 4 მარტი.

2. ბავშვთა უპატრონობის და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ-ში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილებისა და რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. 31 მაისის დადგენილება „ბავშვთა უპატრონობის და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ“ ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბავშვთა უმეთვალყურეობისა და უპატრონობის ლიკვიდაციის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულმა ბავშვთა და მოზარდთა მომწყობმა კომისიებმა თუმცა უკანასკნელ წლებში გაუმჯობესეს მუშაობა, მაგრამ ქ. თბილისის ორჯონიკიძის, ოქტომბრის, კიროვის, აგრეთვე გეგეჭკორის, გორის, მცხეთისა და თეთრწყაროს რაიონებში ეს კომისიები ფორმალურად არსებობენ, თვეების განმავლობაში არ იწვევენ სხდომებს, არ აქვთ სამუშაო გეგმა, არ ამოწმებენ ბავშვთა ოთახების მუშაობას და არ ზრუნავენ მოზარდების შრომითი მოწყობისათვის. კომისიების ცუდი მუშაობის შედეგად 1959 წლის 1 იანვრისათვის სასკოლო ასაკის 819 ბავშვი დარჩენილი იყო როგორც სკოლის, ისე სამუშაოს გარეშე.

ბავშვთა მომწყობი კომისიები ხშირად ზერელე დამოკიდებულებას იჩენენ ამ სერიოზული საქმისადმი. არსებული ინსტრუქციების დარღვევით ბავშვებს გადასცემენ ისეთ პირებს, რომელთა საყოფაცხოვრებო პირობები შეუსწავლელია და რომლებსაც არ შესწევთ ბავშვთა აღზრდის უნარი ან ბავშვებს ანგარების მიზნით იყვანენ.

მაგალითად, ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის ყოფილმა დირექტორმა 15 წლის აღსაზრდელი გაშვილების საბაბით კერძო ხელწერილით გადასცა მოქალაქეს, რომელმაც ეს ბავშვი ფაქტიურად მოჯამაგირედ გაიხადა.

ოქტომბრის რაიონში ნოდარ ანოსაშვილის მეურვედ გაფორმებული იყო მოქ. ა. ალბერტიანი, რომელმაც ისიც კი არ იცოდა, თუ ვისთან იზრდებოდა ბავშვი, თუმცა ამ ბავშვის ბინაში ცხოვრობდა.

პრეზიდიუმი აღნიშნავს აგრეთვე, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ ინვალიდ ბავშვთა კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქის და ქ. ცხაკაიას სახლების მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია. სოფ. ახალქალაქის ინვალიდ ბავშვთა სახლის კაპიტალური რემონტი შეუწყნარებლად გაჭიანურდა და ბავშვები იმყოფებიან კეთილმოუწყობელ და ცივ პალატებში. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული აგრეთვე სამედიცინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურება და არ არის უზრუნველყოფილი ამ სახლების მომარაგება-ყველაფრით საჭირო საკვები პროდუქტებით.

განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებში ყოველთვის არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საბავშვო სახლის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ერთ ოთახში, სადაც 14 ბავშვი ცხოვრობდა, ხმარებაში იყო მხოლოდ 4 პირსახოცი, სასადილო ოთახში არ იყო სათანადო სისუფთავე.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჩვილ შვილთა სახლებში არასათანადო მოვლის შედეგად ჯერ კიდევ ადგილი აქვს სიკვდილიანობას. მაგალითად, ქუთაისში 1957 წელს ცუდი მოვლის შედეგად გარდაიცვალა 3, ხოლო გურჯაანში 2 ბავშვი. სახლები მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი ძიძებით, და რეგულარულად არ მარაგდება ისეთი აუცილებელი პროდუქტებით, როგორიცაა კვერცხი, ბოსტნეული, ხილი.

მილიციის ორგანოებთან არსებული ბავშვთა ოთახების მუშაობის ერთგვარად გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა უზედამხედველობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა, ყოველთვის არ ხდება ბავშვთა უწესოების შესახებ სკოლების, ან იმ ორგანიზაციებისათვის შეტყობინება, სადაც მათი მშობლები მუშაობენ.

სახალხო განათლების განყოფილებები და სკოლები ჯერ კიდევ მთელი შესაძლებლობით არ უწევენ დახმარებას ბავშვთა ოთახებს და არ უზრუნველყოფენ იქ პედაგოგთა სისტემატურ მორიგეობას.

იმის ნაცვლად, რომ თვითონ დახმარებოდა ბავშვთა ოთახს, თბილისის 48-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. მ. დ. ბზიაკაძემ შარშან კალინინის რაიონის საბავშვო ოთახის ინსპექტორს ორჯერ მიმართა წერილობით, რათა დახმარებოდა მას ერთი უდისციპლინო მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანაში და აეძულებინა მეორე მოსწავლე დასწრებოდა გაკვეთილებს.

არის შემთხვევები, როცა ბავშვთა ოთახების ინსპექტორებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, კიროვის რაიონის მილიციის ბავშვთა ოთახში ინსპექტორად გაფორმებულია ამხ. მდინარაძე, რომელიც ქალაქის მილიციის სამმართველოში მდივნად ჰყავთ გამოყენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლებში ადგილი აქვს ბავშვთა ერთ თვეზე მეტხანს გაჩერებას.

ბავშვთა კოლონიების მუშაობა, მართალია, საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც. სტალინირის კოლონიაში 17 წლის ასაკს გადაცილებული 14 აღსაზრდელი კვლავ კოლონიაშია დატოვებული.

კოლონიებში დაბალია აღმზრდელთა განათლების დონე. მაგალითად, ზემო ავჭალის კოლონიაში უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ ერთი აღმზრდელია, სტალინირის კოლონიაში კი არც ერთი.

კოლონიების აღსაზრდელთა საბჭოები არ აბარებენ ანგარიშებს აღსაზრდელთა საერთო კრებას, სამეურვეო საბჭოები ფორმალურად არსებობენ. სტალინირის კოლონიის სამეურვეო საბჭოში, წინააღმდეგ დებულებისა, აღსაზრდელთა მშობლების ნაცვლად, შეყვანილი არიან კოლონიის მუშაკები. არასაკმაო ზედამხედველობის შედეგად ზემო-ავჭალის კოლონიიდან ადგილი ჰქონდა 14 აღსაზრდელის გაქცევის შემთხვევას და სხვ.

სტალინირის კოლონიის ბიბლიოთეკა არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი ბავშვებისათვის მისაწვდომი ლიტერატურით. კოლონიებში საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პროფესიული სწავლების საამქროები არ არის სათანადოდ ორიენტირებული ფილი ლითონის დამშუშავებელი ჩარხებით და ხელსაწყოებით. სტალინირის კოლონიას არა აქვს დამხმარე მეურნეობა, რაც აუცილებელია არა მარტო კოლონიის პროდუქტებით მომარაგებისათვის, არამედ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში აღსაზრდელთა დახელოვნებისათვისაც.

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზამოაღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ჯერ კიდევ საკმაოდ არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციისათვის, ნაკლებად აბამენ ამ საქმეში საზოგადოებრიობას და სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს მიიღონ გადამჭრელი ზომები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 31 მაისის დადგენილების „ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ“ განუხრელად შესრულებისათვის და უახლოეს დროში მიაღწინონ არსებითის გარდატეხას ამ საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და სახალხო განათლების განყოფილებებს:

ა) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად სისტემატურად აღრიცხონ სკოლის ასაკის ბავშვები და უზრუნველყონ მუშა-ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში იმ მოზარდთა მოწყობა, რომლებმაც სკოლებთან კავშირი გაწყვიტეს;

ბ) უზრუნველყონ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა უფლებების დაცვა, მათი მშრომელთა ოჯახებში აღსაზრდელად გადაცემა, აღმზრდელთა ოჯახური პირობებისა და ფაქტიური შესაძლებლობის წინასწარი შესწავლით;

გ) უზრუნველყონ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებში დისციპლინის განმტკიცება, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება და არ დაუშვან ბავშვთა უზედამხედველოდ და უმეთვალყურეოდ დატოვების შემთხვევები.

3. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების მუშაობისადმი, სისტემატურად შეამოწმონ მათი საქმიანობა, მოისმინონ მათი მუშაობის შედეგები და გაატარონ საჭირო ღონისძიებები ამ კომისიების ასამოქმედებლად;

ბ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ საბავშვო სახლების მუშაობას და აღმოუჩინონ მათ პრაქტიკული დახმარება საყოფაცხოვრებო პირობების და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში;

გ) წარმოება-დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა მონაწილეობით გაშალონ მუშაობა ბავშვთა სპორტული მოედნებისა და ბავშვთა დასასვენებელი კუთხეების ფართო მშენებლობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღონ ზომები, რომ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა სამუშაოზე და მოწადვებად პირველ რიგში მიიღონ უდიდამოდ დარჩენილი ბავშვები და შეუქმნან მათ ყველა აუცილებელი პირობა ნაყოფიერი სწავლისა და შრომისათვის.

ე) მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გამოუყონ საჭირო მიწის ნაკვეთები საბავშვო სახლებს და ბავშვთა კოლონიებს დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების, სოციუზრუნველყოფისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს და ამ სამინისტროების საბავშვო სახლების დირექტორებს და საბავშვო კოლონიების უფროსებს მოაწყონ საბავშვო სახლებთან და საბავშვო კოლონიებთან დამხმარე მეურნეობები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროებს ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციისა და ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ფართოდ ჩაებან საზოგადოებრიობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშრომელთა საზოგადოებები და მშობლთა აქტივი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უზრუნველყოს ინვალიდ ბავშვთა სახლების ნორმალური მუშაობა, მიიღოს სასწრაფო ზომები სოფ. ახალქალაქის ინვალიდ ბავშვთა სახლის კაპიტალური რემონტის უახლოეს დროში დასამთავრებლად და სათანადოდ მოაწესრიგოს ქ. ცხაკაიას და სოფ. ახალქალაქის ინვალიდ ბავშვთა სახლებში სამედიცინო მომსახურება.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს ჩვილ ბავშვთა სახლების ნორმალური მუშაობა და მკვეთრად გაუმჯობესოს ბავშვთა მოვლა-პატრონობა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიიღოს გადამჭრელი ზომები მილიციის ბავშვთა ოთახების, მიმღებ-განმანაწილებლების და ზემო-ავჭალის და სტალინირის ბავშვთა კოლონიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად სათანადო წესრიგში მოიყვანოს მილიციის ბავშვთა ოთახები, უზრუნველყოს ისინი სატელეფონო კავშირით, ინვენტარით და საბავშვო ლიტერატურით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს უზრუნველყონ განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების საბავშვო სახლების შეუფერხებელი მომარაგება ნორმით განკუთვნილი საკვები პროდუქტებით.

10. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. მ. ე. თოფურიძემ გააძლიეროს ზედამხედველობა, რათა სათანადო სამინისტროები და უწყებები განუხრელად ასრულებდნენ ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ გამოცემულ კანონებსა და დადგენილებებს, არ დაუშვას არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მცირემნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანი დარღვევებისათვის, უზრუნველყოს მათ მიმართ აღმზრდელობითი და შრომითი ხასიათის ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 მარტი.

3. საქართველოს სსრ კოდექსების პროექტების მომზადების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის პროექტები განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას, რის შემდეგ კომისიამ აღნიშნული პროექტები შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. დაიბეჭდოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის წარმოდგენილი პროექტები ტირაჟით 300 ეგზემპლარი და დაეგზავნოს დაინტერესებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და პირებს გასაცნობად, რომლებმაც თავიანთი წინადადებები და შენიშვნები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას (ამხ. მ. ყ. ლომიძე):

ა) უზრუნველყოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის პროექტების ქართულ ენაზე თარგმნა ა/წ 15 აპრილამდე;

ბ) მოამზადოს და ა/წ 10 აპრილამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს აღნიშნული კოდექსებისა და კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 4 მარტი.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ კაჩრეთის რაიონის სახალხო სასამართლოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კაჩრეთის რაიონის გაუქმებასთან დაკავშირებით გაუქმდეს კაჩრეთის სახალხო სასამართლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ყოფილი კაჭრეთის რაიონის სახალხო მოსამართლემ თავისი მოვალეობა შეასრულოს საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოში, ხოლო სახალხო მსაჯულებმა — საგარეჯოს და გურჯაანის რაიონების სახალხო სასამართლოებში — საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 მარტი.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის შესახებ „საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის წესის, ვადების და ფორმებისა და საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბრძანებულების პროექტი „საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის წესის, ვადების და ფორმებისა და საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას და მრეწველობის და ტრანსპორტის მუდმივ კომისიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 მარტი.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა გამოქვეყნების საქმის მოწესრიგებისა და მათი ძალაში შესვლის ვადების დაზუსტების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი უნდა გამოქვეყნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქართულ და რუსულ ენებზე არა უგვიანეს შვიდი დღისა მათი მიღების შემდეგ.

2. I მუხლში აღნიშნულთაგან, უმნიშვნელოვანესი აქტები, რომლებიც ფართოდ და დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს, იბეჭდება გაზეთებში „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“.

საჭირო შემთხვევებში ეს აქტები შეიძლება გამოქვეყნდეს აგრეთვე რადიოთი ან გადაიცეს ტელეგრაფით.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომელთაც საერთო მნიშვნელობა არა აქვთ ან ნორმატიულ ხასიათს არ ატარებენ, ეგზავნებათ შესაბამის უწყებებსა და დაწესებულებებს და ისინი გააცნობენ იმ პირთ, ვისზედაც ვრცელდება ამ აქტების მოქმედება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეს აქტები შეიძლება არ გამოქვეყნდეს.

4. საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი საერთო ნორმატიული ხასიათისა ძალაში შედიან საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე დროს მას შემდეგ, რაც ათი დღე გავა მათი გამოქვეყნებიდან „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“, ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს „უწყებებში“, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა; იგივე აქტები, რომლებიც ამ ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულია „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“, იმაზე ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდეს „უწყებებში“, ძალაში შედის „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ.

ყველა სხვა აქტი, რომელთაც საერთო ნორმატიული ხასიათი არა აქვს, ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომლებიც ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად არ ქვეყნდება, ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მათ მიიღებენ შესაბამისი უწყებები და დაწესებულებანი, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

6. ამ ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სრულიად საქართველოს ცაკის 1926 წლის 1 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა ძალაში შესვლის დროის შესახებ“ (კან. კრ., 1926 წ. № 1 მუხ. 5) 1928 წლის 25 აპრილის ცვლილებებით (კან. კრ., 1928 წ., № 7, მუხ. 55);

სრულიად საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 25 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ (კან. კრ., 1928 წ., № 7, მუხლი 52) 1929 წლის 30 ოქტომბრის (კან. კრ., 1929 წ. № 22, მუხლი 257), 1931 წლის 13 ივლისის (კან. კრ., 1931 წ. № 15, მუხლი 167), და 1933 წლის 28 იანვარს (კან. კრ., 1933 წ. № 5 მუხლი 65) ცვლილებებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი.

7. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 მარტი.

7. ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 16 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე, წყალწაღებულთა გადარჩენის დროს გამბედაობისა, თავგანწირულობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“

1. ბასიაშვილი არჩილ წყალობის-ძე — „თბილწყალსადენის“ მილიციონერი
2. კვერკველაძე ლუარსაბ გრიგოლის-ძე — ქ. თბილისის სასტუმრო „ინტურისტის“ გარაჟის ავტომანქანის მძღოლი
3. პელავა დავით მამოს-ძე — სადგურ კვეზანის ლიანდაგის საგუშაგოს მილიციონერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 მარტი.

8. ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებული იქნას ამხ. გიორგი კონსტანტინეს-ძე ცქიტიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ამხ. ამხ. ა. ვ. აბაშიძისა და ვ. ვ. მუშკუდიანის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებულ იქნ-ნ ამხ. ამხ. ანდრო ვლადიმერის-ძე აბაშიძე და ვიქტორ ვასილის-ძე მუშკუდიანი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი.
1959 წ. 7 მარტი.